

განსახლება

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვა ენებზე.

განსახლების ფასი

ღიდი ასობით, ასოზე—1 კაპ., ასო-მოთავსებით, სტრიქონზე—8 კაპ., ციკროთი, სტრიქ.—5 კაპ. და პეტით—4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებსა. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

# ფრომეტი

გამოდის კვირადღით, ოთხშაბათობით და პარასკეობით

რედაქცია

მელიამინოვის ქუჩაზე, არტემ ჩაიგვშტოვის სახლებში.

ხელის-მოწერა

რედაქციაში და სტ. მელიამინოვის სტამბაში. ძალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: В Тифлисе. В редакцію газеты „*ფრომეტი*“.

გაზეთის ფასი

წელიწადში—8 მან., ნახევარ წელიწადში—4 მან. და 50 კაპ., თვეში—1 მან. ცალკე ნომერი—ერთი შაური.

## ოთხი თვის ხელის-მოწერა „ფრომეტი“

მიიღება მთელი წელიწადში, — გაზეთის რედაქციაში (მელიამინოვის ქუჩაზე, ჩაიგვშტოვის სახლებში, № 6); გარეშე ქალაქებში — „ფრომეტის“ აგენტებთან. ფასი ოთხი თვის გაზეთისა ე. ი. 1 ანკენისთე და მომავალი წლის 1 ანკენისთე — 3 მანეთი. მთელი წლის ნომრები მხოლოდ რამდენიმე დარჩენილი, — ღირს — 8 მან., ნახევარის წლის — 4 მან. და 50 კაპ., ერთის თვისა — 1 მან.

## სლავიანების თანაგრძობა

მთელი განათლებული მერობა თანაგრძობას ამ უმად სლავიანების ბრძოლას მსმალთს დამოკიდებულებისაგან განთავისუფლებისათვის. მაგრამ ეს თანაგრძობა არსად არ არის ისეთი ძლიერი და მხურვალე, როგორც რუსეთში. ამ ქვეყანაში არ ნახულა ჯერ ამგვარი საზოგადო მოძრაობა და თანაგრძობა: მთელი ხალხი აღელვებულია, ყველა იმას ამბობს, რომ რითაც შეგვიძლიან უნდა უშველოთ, უნდა დავეხმაროთ ჩვენს უმცროსს ძმებსაო; უნდა ხელი მოუშვათოთო „ბასურ მანებთან“ ბრძოლაშიაო! და მართლაც, კარგათაც ხელს უმართავენ და ეხმარებიან: მთელი რუსეთიდან, ყველა კუთხიდან იგზავნება სხვა და სხვა სლავიანურ ძომიტეტებისა და ჩერნიავის სახელობაზე უ-

ანგარიშო ფული, ტანთ-და-ფეხთსაცმელი, საჭმელი, სასმელი და სხე. მანებები საესვა ამ შეშფერველების სახელითა და გვართ და შეწირული ფულებისა და საგნების ჩამოთვლით. ამბობენ, ამ უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში, მას აქეთ რაც სერბიამ ომი გამოაცხადა, კერა ისე არ გაიფლავა, რომ ერთი მილიონი თუ ფული და თუ სხვა რამე ომისათვის საჭირო ნივთები არ გაიგზავნოს სერბიაში. მაგრამ ეს კიდევ არაფერი: ამგვარ შეწევნაზე უფრო მომეტებული მნიშვნელობა იმ გარემოებას უნდა მიეწეროს, რომ რუსეთიდან დიდძალი ხალხი მიდიან სერბიელების დასახმარებლად; მიდის ექიმები, დაქრილები მომვლელი ქალები, აუარებელი აფიცრები და სალდათები. ამბობენ, რუსეთიდან წასულ ვოლონტერების რიცხვი ამჟამად უკანასკნელი 20,000 კაცი იქნებაო, და ეს მეომარ ხალხის დენა სერბიაში ჯერაც არ შეწყნარებულია. დანარჩენივე მერობაც ამგვარსავე თანაგრძობას უცხადებს სლავიანებს: იმით რაზმში ურევია ბევრი ფრანკუზები, იტალიელები, ბერძნები, გერმანიელები და სხე. ასე, ერთის სიტყვით, სლავიანურ ხალხების ბრძოლაში მთელი მერობის თანაგრძობა დაიმსახურა. მაგრამ ამ საგანზე ლაპარაკი აქ ჩვენ კი რისთვის ჩამოვადგეთ.

არათუ რუსეთის ხალხს, თვით განათლებულ საზოგადოების წარმომადგენელთ და გაზეთებს თავიანთ თანაგრძობის მხოლოდობით საფუძვლად ის გარემოება მოჰყავთ, რომ სლავიანები მართლ-მადიდებელი ხალხნი არიანო, ოსმალები კი მაჰმადიანო, და შრისტეს სარწმუნოების ამღვიარებელი ხალხი მაჰმადიანთ ხელქვეით, მსმალთ დამოკიდებულებაში როგორ უნდა იყოსო. „ბასურძნები“ ბატონობენ მართლ-მადიდებელ ხალხზედა, — ამის მოთმენა ქრისტიანს როგორ შეუძლიანო?! მერობა, განათლებული მერობა როგორც ვთქვით თანაგრძობას სლავიანებს. ის ხელდას, რომ რამდენიმე მილიონი პატარა ხალხები ერთის უხვირო და უთავო სახელმწიფოს ხელშია; ხელდას, რომ ამ პატარა ხალხებს ბედნიერი ცხოვრება ვერ მოუპოვებიათ მსმალთს ხელში; ხელდას, რომ ესენი თავისუფლებას ეძებენ, და ასე ჰფიქრობს: სლავიანები მართლ იმიტომაც არიან თანაგრძობის ღირსნი, რომ დაჩაგრულნი არიან და უმცროსნი მოპოებისათვის იბრძვიან. მერობა ჰფიქრობს: ყოველი ხალხი ღირსია კეთილდღეობისა, და თუ რომელმა მე მმართველობამ თავის ხალხს ვერ მიანიჭა კეთილდღეობა, თუ, კეთილდღეობის მაგიერად, ის მმართველობა ხალხს აღარი-

ბებს, სცარცევეს, ბოროტად და ბარბაროსულად ეპყრობა, მაშინ ყოველ პატიოსანი და კაცური-კაცი ვალდებულია, რომ ამ შევიწროებულ ხალხს დაეხმაროს. ჩვენ გვერია, რომ ამ გვარის ჰაზრით დახმარებას უფრო მომეტებული საფუძველი და კერგი მხარეები აქვს, ვინც იმას, რომელიც სარწმუნოების განსხვავებაზე და სიძულელიწვედ არის დამყარებული. ჩვენის ჰზრით, კაცი იმიტომ კი არ უნდა დაეხმაროს მეორე გაჭირებულ კაცს, რომ ის ფრანგია, სომეხია ან ლოტრანგი; არა, იმიტომ რომ ის კაცია, რომ ყოველი კაცი ვალდებულია, რითაც შეუძლია ხელი მოუშაროთ სხვას გაჭირებაში და კეთილი მიზნის მიღწევაში. რაც კერძო კაცზე ითქმის, იგივე ითქმის მთელს ხალხზედაც... ს. მესხი

## საქართველო

ღლიური ზოგიერთ რუსოთ გაზეთებში დაბეჭდილია ერთი ამბავი, რომელიც ჩვენს მხარესაც დახლოებით შეეხება: ამბობენო, იწერებიან ამ გაზეთებში, რომ „უწმინდესს“ სინოდს მიუღია მხედველობაშიაო, რომ რუსეთის სხვა-და-სხვა მონასტრებში ბევ-

## ფელტონი

### ფიქრები და დარღები

დაბნელდა მე რომ მუთანის ჩამრებ ცეცხლის ეტლში ჩაეჯექ და დილის შეიდი საათი იქნებოდა, როცა ცეცხლის გემზედ ვიყავი. მთელი სამეგრელო ღამით გაღვირბინე. მთელი შოთი ფეხზედ იდგა, როცა ჩვენი გემის სტენა არეზარეს აყრებდა და ნელ-ნელა ნაპირს ჰკიდებოდა. აღმონათებული მზე ჩვენს ქვეყანას აუცხოებდა დილის სიამით, როცა ჩვენ ზღვისაკენ მივიბრუნეთ პირი. ცა მშვენიერათ ეხამებოდა ამწვანებულ მთა და ბარს, მის ლაქვარდოვან სივრცეში მთავრის შეუქები კიდევ მოჩანდნენ აქა-იქ ნალარ-ნალარათ, მნათობები ზოგან ჩამქალიყვენ და ზოგან ქობას იწყებდნენ; ჰყარის სიმჩატეს შედარება არ ჰქონდა. ხმელეთი სტენით და დილის ლო-

ცვით გეაცილებდა, ზღვა კი რაღაც სიჩუბით, მოლოდინით გვეგებებოდა, როცა ჩვენმა პატარა გემმა დიდს სალაში მისცა, ერთმანეთს სტენა დაუწყეს, კიბე გადმოგვიდგეს დიდი ხომალდიდგან, კიბესთან თოკები, თოკებთან ერთი ხმაურობა შეიქნა, მენაეები აცაფუცდნენ, უფროსებმა გაიდ გამოიძახეს, წამსვლელები სიჩქარით გადვიბარგეთ დიდს ხომალდზედ, და ამით გათავდა კიდევ ჩვენი ხმელეთის გამოშვებობა.   
×  
ზათადა. მოვშორდი პატარა ცის კადეს. გამოვეშვიდობე დედას, მამას, ძმას, მოყვარეს მთა-და-ბარს, ხეს და კლდეს. გამოვეშვიდობე იმ პატარა ოთახს, რომელშიაც დღემდისაც ჩემი აკენის ფარდაგი დევს, რომელსაც ჩემი ყმაწვილური აღშფოთებელი ცელქობა გადუტანია, რომელშიაც ჩემი იქ ცხოვრება მით აღბეჭდილია, რომ ერთ კუთხეში ფიტრები ზოგან ამოშვერილან, ზოგან თავები ჩაულუნავს, მეორე კუთხეში კედელზედ სხვა-და-სხვა წარწერებით ქალღი სუო აჭრელებულია და

ქერს ჰეარტლით ფერი შესცვლია. ღვეტოვე ეს ოთახი; იქ ერთი სუფრაც მედგა, რომელზედაც ოხ, რამდენჯერ მიუკრავარ ფეხებით მამას; იქ კედელზედ ერთი ლუსმანი მქონდა მიჭვდილი, რომელზედაც გიმნაზიის საცეცხლე ბოხჩას ეჭიდებდი ხოლომე.   
ღვეტოვე და მოვშორდი ყველაფერს, რაც კი ჩემს წასრულს ცხოვრებას მომავონებდა. ბადეიარე ჩვენი ჰახატა, დაუადგი ფეხი იორდანეს კიდეს და ეს არის უნდა ვიცხოვირონი. და იცით—რა მღველმა უნდა მომნათლოს, ან რა რჯულის მირონი უნდა მომეცხოს გიმნაზიის ცოდვით დატვირთულ შუბლს? ჩემი მომნათელი მეცნიერთა კრება იქნება, ეკლესია სამეცნიერო, ტაძარი და მირონი განათლებისა.   
მამ აგრე, ჩემო ხომალდო, გასწი, გაკვეთე ეს ზღვა უფალი და იქ გარდაპატარე და იქ მომეც შეება და ლხენა, სადაც სიცოცხლის სული სხვებრ მოძრაობს.   
×

მოვედი კიდევ უცხოეთში. აქიდგან გესალმები, ჩემო ძვირფასო სამშობლოე! უცხოეთიდგან მსურს გიქერდე გამჭვრეტი თვალებით, რომ ყველა შენის ბედის სელაში მე, შენსა შეილსაც, მქონდეს წილი. მსურს შენი ჯავრი, მწუხარება, ოხერა, კენესა მე შავ ღღეს მიღებდეს და შენის სიკათისთვის ტკილით ვცხოვრებდე მეც მამი უნდა გვიკისისა დაუცხოვრომელის კისკისით, მეც მამინ უნდა ეხარობდე...   
×  
ზევით ცა დაგვეყრებს და ქვევით ზღვა გორებს-გორებით ეთამაშება ჩვენს ხომალდს. ჩამამავალი მზე აუცხოებს ქვეყანას. სხვა-და-სხვა ქვეყნებისკენ მოგზაურნი გემები და ხომალდები სალამს გეძღვევენ. მოგზაურები გულ-დასვენებით შეეყურებთ ყველაფერს. ღიდი ხანი გავიდა, მზეს ჩასვენებს მოვეწაოთ; ცა მნათობებით გაიჭვდა, მთვარემ ბრილიანტების მცვარი მოაულო ჩვენს ირგ-







თფილისის სამკურნალო

(4 აპრილის სახსოვრად)

მრეწვის მადანზე, ჩიტახოვის სახლებში.

ავთმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილის 8 საათიდან დილისვე 10 საათამდე.

მრ შ ა ბ ა თ ს: გქიმი მინკევიჩი—ხირურგიულ ავთმყოფობისათვის, შარალევიჩი და ლისიცივი—შინაგანი ავთმყოფობისათვის.

ს ა მ შ ა ბ ა თ ს: მერმიშვილი და მარკაროვი—შინაგანი ავთმყოფობისათვის, მამამშვილი—თვალის ექიმი.

მ თ შ ა ბ ა თ ს: ლისიცივი—შინაგანი ავთმყოფ., მიუჩარინცი—ვენერული ავთმყოფობისათვის.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ს: მერმიშვილი შინაგან ავთმყოფობისათვის.

პ ა რ ა ს კ ე ვ ს: ლისიცივი და ასატურაძე—შინაგანი ავთმყოფობისათვის და მინკევიჩი—ხირურგიულისთვის.

შ ა ბ ა თ ს: მერმიშვილი და მარკაროვი—შინაგანი ავთმყოფი, მიუჩარინცი—ყურისა და ხირურგიულ ავთმყოფობისათვის და მამამშვილი—თვალის ავთმყოფობისათვის.

კავკასიის საავიო ინსტიტუტი სამგობიარო ლოჯიტილით

(მერაზე, ფოტის სტაციის მახლობლად)

მშობიარე ქალებს ყოველ დღე და ღამე მიიღებენ. აქიომობისთვისა და საწოლისთვის დღეში ათი შაური; ღარიბები მუქთად. ღოშპიტალში არის ცალკე (საიდუმლო) ოთახები თვეში 30-50 მანეთად.

ჩრევისათვის ავთმყოფებს ყოველდღე მიიღებენ, კვირის გარდა; ვიზიტისა და წამლის ფასი ექვსი შაური; ღარიბები მუქთად.

შოველ დღე დილის 8 საათიდან 9 1/2-მდე დოქტორი პრტემიევი და 9 1/2-დან 11-მდე დოქტორი ანანოვი.

მ რ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ, ო თ ხ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ და პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ, დილის 11 საათიდან 12-მდე დოქტორი ალბანუსი და პაპველი.

მ თ ხ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ, 12 საათზე ჩრევა რემერტისა, ალბანუსისა, ანანოვისა და პრტემიევისა.

განცხადებანი

ჭუთაისში, ლუბერნიის სტამბაში ისე იდება ბერ. ძალანდარაშვილისაგან შედგენილი წიგნი:—რუსული ენის დასაწყისი პრაქტიკული კურსი მართვალთათვის. გამოცემა მეხუთე, ხელ-ახლად გასწორებული და შემოკლებული. ფასი სამი აბაზი.

წალკობი


თქმული

ღამით გივიზილისაგან

ისე იდება სხვა და სხვა წიგნის მალაზიებში.

LA VELOUTINE (ველუტინი) ერთნაირი ბრინჯის კუდრი (უმარილი), ბისმუტით გაკეთებული. ისეთი ზედმოქმედება აქვს ადამიანის ხორცის კანზე, რომ ალბობს და ახალგაზდა ადამიანის კანს დაამსგავსებს. პანს ეკერება და არა სჩანს. შ. შ. ა. ი. — გა მ ო მ გ ო ნ ი — pommade satin (ატლასის კომადა) ხელების კანის რბილად შესანახად; ზამთარში არ დაუწყდება ხელის კანი, ვინც ამ პომადას ხმარობს. 9, Rue de la Paix, Paris 156-65

ღაიბეკდა და ისე იდება თამარ სამართვალის ბატონის ვილინი ისტორიული რომანი მ. რჩეულთისა. თფილისში: მელიქიშვილისა და აბს. სტამბაში და მნუჯიანის წიგნის მაღაზიაში. ფასი ყველგან ექვსი შაური.



ათასი პირი, ქალი და კაცი თვისს მშენებლის თმის ქონებით ელდებოდა მხოლოდ სამხლერ გარეთ წყარობაში შემოტანილ ესრეთ წოდებულ მკანარეობის მინო-გლიტარინის კომპლქსს, რომელსაც თმა ამოჰყავს. მს პომადა უცდია ბევრს გამოჩენილ ექიმობის მცოდნეს და რეკომენდაციის წიგნი აქვს

ქიმიის პროფესორისა ლანდგერხტთან დანიშნულისა, მენაში, უ. ძლიერისა და ნებართვა აქვს მოსკოვის საექიმო მთავრობისა; საკვირველს და წარჩინებულ წარმატება ჰქონდა და უკანასკნელ დროს მოსკოვის საექიმო მთავრობამ განიხილა და ჰპოვა კარგი თვისება ამისი.

წესიერათ იმის ხმარებაზე მომატებულათ მოსვლელი თაეც კი მალე თმით იმოსება. საკვირველათ თაეის კეფას უმავრებს, სრულებით კანის ყოველ გვარ ქერქეშს აშორებს, თმას ამაგრებს, მცირე ხანში ბუნებითი სიბრწყინვალეს აძლევს და მეტის-მეტ მშენებლის სუნით, რომელიც იმისი ძვირფასი კუთენილებაა, რასაკვირველია, პირველის ტურფა ტუალეტის დამამშენებელია.

შეელო ეს თვისებანი ჩემის ნაწარმოებისა მაძლევს სრულს სიმართლეს იმედი ექონიო, რომ რუსეთში ძალიან გასავალი ექნება უპატეცემულესის პუბლიკის სასარგებლოდ.

ფასი ბანკისა 2 მანეთი

შოველ ბანკთან არის დარიგება—თუ როგორ უნდა იხმარონ ეს პომადა

პომადა „PASTA EUGENIE“

ამ პომადას გამამგონს აქვს პატივი განუცხადოს საზოგადოებას, Pasta Eugenie ისე იდება თფილისში ლანკოს მუხიკალურ მაღაზიაში, სასახლის ქუჩაზე, პრწრუნის ქარვასლაში, ვლადიკავკასში—სეგალთან და სტამბოლში პურჩილ-



ჩენკოსთან, სადაც ისე იდება სხვა აქ მოყვანილი ნივთებიცა. მს პომადა „Pasta“ იმითია შესანიშნავი, რომ ცოტანის ხმარების შემდეგ, ლაქები, ქორფლი, ქერქეში და სიცხისაგან სახეზე მოდებულ სიწავე სრულიად იკარგება და მსწრაფ

ლადაც. პირის სახე იწმინდება და ახალგაზდა ადამიანის სიცხოველე ეძლევა. შეელოზე უფრო ეს პომადა იმათთვის არის საჭირო, ვისაც სუფთა და თეთრი პისისაზე ჰსურთ, რომ ჰქონდეთ. მუდგელებისათვის გარანტი, არის მენის ქიმიის პროფესორი ძლიერისკი და მოსკოვის საექიმო მთავრობის მოწმობა.

ფასი ერთი ბანკის 1 მან. და 60 კაპ.

ბანკთან არის დარიგება—თუ როგორ უნდა იხმარებოდეს. შოველ პომადას ბანკას, როგორც თმისთვის აგრეთვე „Pasta“-ს აქვს თვის დალი, ამურის სურათით და გამამგონის ხელის



საც ხორცის კანის ავთმყოფობა არა აქვს, მაგრამ ჰსურს, რომ წმინდა ხელი ს

მს პომადა ისეა შედგენილი, რომ იმის ხმარების შემდეგ, ხელის კანი განსაკვირველად რბილდება, თეთრდება და მხოლოდ ღრმა მოხუცებულებში ჰკარგავს ამ თვისებებს.

ერთი ბანკის ფასი 1 მან. და 30 კაპ.

თმის საღებავში—ათი მინუტის განმავლობაში ღებავს და ექვს კვირას სძლებს. ფასი სამი მანეთი.

ბოკაის ბალზამი—საშუალება მახოლისათვის. ფასი 60 კაპ. 54-34

Table with multiple columns: რა. გზა., დოლა., სალა., II კ., III კ., ცეცხლის გეგმები, ფოთობა, ბირჟა, მან. კაპ., მაჯანდა. It contains various numerical data and text related to exchange rates and prices.